

## სამოტივაციო წერილი

საქართველოს ჟურნალისტური ეთიკის ქარტიის აღმასრულებელი დირექტორის პოზიციაზე ორწლიანმა მუშაობამ მნიშვნელოვანი გამოცდილება შემძინა და ამასთან ერთად კიდევ უკეთესად დამანახა თუ რა მიმართულებით უნდა გავაძლიეროთ მუშაობა ორგანიზაციის განვითარებისთვის.

2015 წელს აღმასრულებელი დირექტორის პოზიციის დასაკავებლად საბჭოსთან გამართული გასაუბრებისას დასახელებული ყველა საკითხი შესრულებულია. დამატებითი აქტივობებიც სრულ თანხვედრაში იყო სტრატეგიული განვითარების გეგმასთან.

## განვლილი საქმიანობის მოკლე მიმოხილვა

სტრატეგიული გეგმის სამი მიმართულება უკავშირდებოდა უშუალოდ აღმასრულებელ რგოლს:

- **ქარტიის ორგანიზაციული მართვის დახვეწა**

ბოლო ორი წლის განმავლობაში აღმასრულებელი რგოლმა მნიშვნელოვანი სამუშაო გასწია ინსტიტუციური განვითარების თვალსაზრისით. 2015 წლამდე ქარტიის საორგანიზაციო საქმიანობას ჰქონდა სპონტანური სახე და დამოკიდებული იყო მხოლოდ თანამშრომელთა ინიციატივასა და კეთილსინდისიერებაზე. არ არსებობდა არანაირი შიდამარეგულირებელი დოკუმენტები, გაიდლაინები, რაც მოაწესრიგებდა სხვადასხვა საკითხებს. არ იყო შექმნილი არც დირექტორის დებულება, რომელიც დირექტორის საქმიანობას დაარეგულირებდა. ამ ორი წლის განმავლობაში აღმასრულებელი დირექტორის ინიციატივით შეიქმნა შემდეგი დოკუმენტები:

- **შრომის შინაგანაწესი** - არეგულირებს დასაქმებულთა სამუშაო დროს, პირობებს, დასვენების დღეებს და აშ
- **ქცევის კოდექსი** - ასახავს იმ ეთიკურ სტანდარტებს, რასაც ქარტიაში დასაქმებული უნდა იცავდეს
- **მედიამონიტორინგის სახელმძღვანელო** - რადგანაც მედიამონიტორინგები ქარტიის ერთერთი ძირითადი საქმიანობაა გაიწერა თუ რა სტანდარტს უნდა აკმაყოფილებდეს მედიამონიტორინგი, რა შემთხვევაში შეიძლება არსებობდეს ინტერესთა კონფლიქტი და აშ

- **ქარტიის წესები** - დარეგულირდა და განისაზღვრა სტანდარტები ისეთ საკითხებზე როგორცაა ტრენინგების ჩატარება, ქარტიის სახელით სხვადასხვა მედიასაშუალებებთან ურთიერთობა,
- **შესყიდვების სახელმძღვანელო** - განისაზღვრა ორგანიზაციის შესყიდვის პროცედურები და სტანდარტები. დაინერგა გადარიცხვის ორეტაპიანი პროცედურა, რაც აზღვევს ორგანიზაციას არასწორი გადარიცხვებისგან
- **აღმასრულებელი დირექტორის დებულება** - ამ დოკუმენტის საფუძველზე მოქმედებს დირექტორი. გაიწერა პროცედურა ამ პოზიციის დასაკავებლად გამოცხადებული კონკურსიდან დაწყებული საბოლოო დანიშვნამდე, უფრო დეტალურად განისაზღვრა მისი უფლებამოსილება.
- **საშვებულებო ფორმა** - ივსება დასაქმებულის მიერ დასვენების დღეების აღებისას, რაც საშუალებას იძლევა მოწესრიგებული იყოს შვებულებები და დაცული იყოს კანონით განსაზღვრული ვადა.
- **საბჭოს მიერ განცხადების გამოქვეყნების წესი** - ჩამოყალიბდა კრიტერიუმები, რითიც საბჭო ხელმძღვანელობს განცხადების გამოქვეყნებისას
- **საქმის განხილვის პროცედურის სქემა** - ჩამოყალიბდა სქემა განცხადების შემოსვლიდან გადაწყვეტილების საბოლოო გამოქვეყნებამდე, გადანაწილდა პასუხისმგებლობები იმისათვის, რომ დროულად იყოს ინფორმირებული მოპასუხე ჟურნალისტი და განმცხადებელი საქმის წარმოების შესახებ.
- **სარევიზიო კომისიის რეგლამენტი** - ვინაიდან კომისიამ დაფუძნებიდან დღემდე ვერ მოახერხა ამ დოკუმენტის შემუშავება და აზრთა სხვადასხვაობას იწვევდა მათი უფლებამოსილება, მოვამზადე და შევთავაზე დასამტკიცებლად, თუმცა ერთი თვის გასვლის მიუხედავად, გადაწყვეტილება არ მიუღიათ.

ყოველი წლის დასაწყისში იქმნება შემდეგი დოკუმენტები:

- **სამოქმედო გეგმა** - დგება ქარტიის წევრების გამოკითხვის და ორგანიზაციის საჭიროების საფუძველზე. ორი წლის განმავლობაში შედგენილი სამოქმედო გეგმა სრულად შესრულდა. გასაკეთებელი დარჩა მხოლოდ მრჩეველთა საბჭოს დებულება
- **კომბინირებული ბიუჯეტი** - იქმნება წლის დასაწყისში და გათვალისწინებულია ორგანიზაციის წლიური ხარჯები და საოპერაციო ხარჯები. ამ დოკუმენტის საფუძველზე იქმნება შემდეგ უკვე პროექტების ბიუჯეტი, სადაც ვცდილობთ არაპირდაპირი ხარჯებში ამ საჭიროებების გათვალისწინებას

კონკურსის საფუძველზე შეირჩა და განახლდა მედიამონიტორთა ჯგუფი

მიუხედავად იმისა, რომ არც ერთი პროექტი არ ითვალისწინებდა, IREX-თან მოლაპარაკებების შემდეგ გამოიძებნა ფინანსური რესურსი და განახლდა ქარტიის ვებსაიტი, რომელიც საშუალებას აძლევს განმცხადებელს ქარტიას მომართოს ონლაინ. ასევე ვებსაიტის საშუალებით შესაძლებელია წევრობაზე განცხადების შემოტანაც. სისტემატიზირებულია გადაწყვეტილების სარეზოლუციო და სამოტივაციო ნაწილის გამოქვეყნებაც. გადაწყვეტილების ძებნა შესაძლებელია პრინციპების, განმცხადებლისა და მოპასუხის მიხედვით, რაც ანალიზის საშუალებას იძლევა.

- **ჟურნალისტთა პროფესიული განათლება, უფლებები და მედიაგარემო**

მნიშვნელოვანია, რომ დაიწყო სახელმძღვანელო წესების შემუშავება სხვადასხვა საკითხების გაშუქებისას, რაც მნიშვნელოვანი რესურსია ჟურნალისტებისთვის. მასალა საჭირო კონტრიბუცია აღმოჩნდა უნივერსიტეტებისთვის და გამოყენებულია სწავლებისას. ჯამში ამ ორ წელში 11 გაიდლაინი გამოქვეყნდა და დაიბეჭდა ერთი კრებული. თითოეული მათგანი ეფუძნება საბჭოს პრაქტიკას, საერთაშორისო მედიის გამოცდილებას.

ჩატარდა 16 ტრენინგი ჟურნალისტებისთვის, აქედან 8 უშუალოდ რედაქციებში ბავშვთა საკითხების გაშუქების შესახებ. გაეწია კონსულტაცია 109 ჟურნალისტს სხვადასხვა თემაზე.

ვმონაწილეობდი მედიის შესახებ გამართულ ყველა დახურულ და ღია შეხვედრაში საქართველოში და არაერთ კონფერენციასა თუ ვორქშოფში ქვეყნის გარეთ. ჩამოყალიბდა პარტნიორული ურთიერთობა არასამთავრობო ორგანიზაციებთან, მედიასამუშალებებთან, სხვადასხვა საჯარო უწყებებთან. ქარტიის სახელით ვმონაწილეობდი საკანონმდებლო ცვლილებების განხილვაში, სხვადასხვა ინიციატივებზე მსჯელობაში, რომელიც მედიას უკავშირდებოდა.

- **ქარტიის ფინანსური შესაძლებლობების განვითარება**

დაფინანსდა და განხორციელდა 14 პროექტი, წარდგენილი იყო დონორებისთვის კიდევ 11 პროექტი, საიდანაც არ დაფინანსდა 8. ორ მათგანზე კი ველოდებით პასუხს. ქარტიამ დაიწყო თანამშრომლობა გაეროს განვითარების პროგრამასთან და უკვე მეორე წელია სტაბილურად გრძელდება ეს მუშაობა, ამონიტორინგებს ტელემედიას. იგეგმება მომდევნო არჩევნებზეც ამავე ფორმატში თანამშრომლობის გაგრძელება. გაეროს ბავშვთა ფონდთან კი გრძელდება თანამშრომლობა და მედიამონიტორინგის განხორციელება. განვითარდა და სანდოობა მოიპოვა მედიაკრიტიკის პლატფორმამ „მედიაჩეკერი“. ნაცვლად წარდგენილი ერთწლიანი პროექტისა, NED-ს თხოვნით პროექტის ხანგრძლივობა გაიზარდა ორი წლით და 2013 წელს დაწყებული ლიბცენტრი 2018 წელს დაასრულებს მუშაობას.

ქარტიამ ორი წლის განმავლობაში შეიძინა 4 ახლი ლეპტოპი, პრინტერი, ვიდეოკამერა, ფოტოკამერა.

## **ორგანიზაციის განვითარების გეგმა**

უახლოეს პერიოდში (2017-2019) განსახორციელებელი აქტივობები:

- ორწლიანმა მუშაობამ აჩვენა, რომ ავტორიტეტის, გავლენის თუ დაფინანსების მისაღებად მნიშვნელოვანია ორგანიზაციის სტაბილურობა, ვინაიდან ბევრი რამ დამოკიდებულია პირად ურთიერთობებზე. მუშაობის პირველი წელი ფაქტობრივად სიტუაციაში გარკვევას, ნდობის მოპოვებასა და ამ ურთიერთობების გაგებას

დასჭირდა. მუშაობის მეორე წელს დაიწყო უკვე ერთობლივ საკითხებზე მუშაობა, სხვადასხვა ფორმატის სამუშაო ჯგუფებში ჩართვა, ამიტომაც მნიშვნელოვნად მიმაჩნია ამ თანამშრომლობის გაგრძელება და გაღრმავება როგორც დონორებთან, არასამთავრობო სექტორთან, ისე მედიასაშუალებებთან და საჯარო სექტორთან.

- ეს ურთიერთობები უნდა დაგვეხმაროს ფინანსური მდგრადობის მოპოვებაში, რაც ამ დროისთვის ორგანიზაციის მთავარი გამოწვევაა, ვინაიდან სრულდება IREX -ის გრანტი, რომელიც ორგანიზაციულ ხარჯებს ფარავს, მათ შორისაა საბჭოს სხდომების გამართვა, კომუნალური გადასახადები, იჯარა და აშ. ამისათვის დაწყებულია უკვე მოლაპარაკებები ერთ-ერთ უცხოურ ორგანიზაციასთან, რომელთანაც უკვე ჩანიშნულია შეხვედრა.
- უახლოეს პერიოდში, როგორც ზემოთ აღინიშნა, რა თქმა უნდა, გაგრძელდება პროექტები UNDP-სთან და UNICEF-თან თანამშრომლობა არჩევნების გაშუქებისა და ბავშვთა საკითხების გაშუქებასთან დაკავშირებით.
- წარდგენილია პროექტი ამერიკის შეერთებული შტატების საელჩოს საგრანტო კონკურსში მედიაწიგნიერების შესახებ, რადგან მიმაჩნია, რომ მედიაწიგნიერება არის ის ნიშა, რაც ქარტიამ უნდა დაიკავოს.
- კიდევ ერთი მიმართულება, რაც ქარტიამ უნდა გააძლიეროს, ეს სწავლებაა. ამისათვის უნდა შეიქმნას ქარტიის მედიასკოლა, რათა ქარტიის წევრების პრაქტიკული გამოცდილება იყოს გაზიარებული. ამისათვის უკვე მომზადებულია პროექტი და წარდგენილია NED-ში. მედიასკოლა საშუალებას მისცემს ქარტიას მიიღოს კომერციული შემოსავლები და ძირითადი ხარჯები დაფაროს.
- მედიამონიტორინგი კიდევ ერთი ნიშაა, რომელიც უკვე წლებია ქარტიას უკავია. უნდა შენარჩუნდეს და გაგრძელდეს ამ მხრივაც მუშაობა. ქარტიამ უნდა გააკეთოს თემატური მედიამონიტორინგები სხვადასხვა ორგანიზაციის დაკვეთით. ამ მიმართულებითაც დაწყებულია მუშაობა. აჭარის ტელევიზიის დაკვეთით გააკეთა პროგრამების მონიტორინგი, იგეგმება ამ მიმართულებით თანამშრომლობა. ასევე გაკეთდა შეთავაზება გენდერის თემაზე მომუშავე ორგანიზაციებისათვის, რომ განხორციელდეს ქალებთან დაკავშირებული საკითხების გაშუქება. კიდევ ერთ ორგანიზაციასთან კი გაიმართა მოლაპარაკებები შშმ პირების გაშუქების შესახებ მონიტორინგის განხორციელებისთვის.
- უნდა გაგრძელდეს თემატური გაიდლაინების მომზადება, რომელიც ეხმარება როგორც მოქმედ ჟურნალისტებს, ასევე უმაღლეს სასწავლებლებს. ვფიქრობ, კარგი იქნება თუ მოვამზადებთ სახელმძღვანელო წესებს შემდეგ საკითხებზე: შესწორების სტანდარტი, ვიზუალური მასალის ეთიკური დილემა, ბუნებრივი კატაკლიზმების გაშუქება და აშ. ამ თემებზე უკვე მოძიებულია მასალა.
- ევროპის დამოუკიდებელი პრესის საბჭოების ყოველწლიური კრების ჩატარება 2019 წელს მნიშვნელოვანი მოვლენა იქნება ჩვენთვის. იმ კვირაში უკვე ოფიციალურად დასახელდება თბილისი მასპინძლად. ამიტომაც საჭიროა მისი კარგად დაგეგმვა და გაპიარება.
- 2019 წელი არის ქარტიის მეათე საიუბილეო წელი და ვფიქრობ რომ მთელი წლის განმავლობაში უნდა დავეგეგმოთ ღონისძიებები.

## გრძელვადიანი განვითარების გეგმა

ვფიქრობ შემდგომ პერიოდში ქარტიამ რამდენიმე მიმართულებით უნდა გააქტიუროს მუშაობა:

**მედიასკოლა** - უნდა შევძლოთ მედიასკოლის ამუშავება, რაც იქნება დამატებითი ფინანსური შემოსავლის წყარო ქარტიისთვის და ამასთან დაიკავებს ნიშანს სტუდენტი ჟურნალისტებისთვის პროფესიული უნარ-ჩვევების განსავითარებლად. ქარტია მათ სტაჟირებების გავლაშიც დაეხმარება. ეს ხელს შეუწყობს ქარტიის და ზოგადად ეთიკური ღირებულებების გავრცელებას მომავალ ჟურნალისტებში და ისინი უკვე პროფესიულ საქმიანობაში მეტად შეეცდებიან მის დამკვირდრებას. მეტი ჟურნალისტის არსებობა, რომელიც გრძნობს თვითრეგულირების მნიშვნელობას, გააძლიერებს ქარტიას, როგორც ორგანიზაციას.

**ტრენინგების ცენტრი** - უნდა ვიმუშაოთ იმ მიმართულებით, რომ ქარტია გახდეს ტრენინგების სერვისის მიმწოდებელი მედიასამულებებისთვის. იმის გამო, რომ ყველა ორგანიზაცია ჟურნალისტებისთვის უფასოდ ატარებს ტრენინგებს, ამ მიზნის შესრულება ძალიან რთულია, თუმცა, შესაძლებელი. უშუალოდ რედაქციებში ჩატარებულმა ტრენინგებმა ბავშვთა საკითხების შესახებ ძალიან კარგი შედეგი გამოიღო და ინტერესი გამოიწვია. ამიტომაც თუკი გავააქტიურებთ ამ მიმართულებით მუშაობას, შესაძლებელია საბოლოოდ ეს ფოკუსი დავიკავოთ.

**მედიამონიტორინგი** - როგორც ზემოთ აღინიშნა, აუცილებელია თემატური მონიტორინგების გაკეთება. ამიტომაც თუკი ვიმუშავებთ ამ მიმართულებით, შესაძლებელია ეს მომსახურებაც გახდეს ქარტიისთვის შემოსავლის წყარო.

**მედიაწიგნიერება** - ეს თემა საქართველოში გააქტიურდა და ქარტიამ უკვე მოამზადა პროექტი, არ არის ცნობილი დაფინანსების საკითხი, თუმცა ამ მიმართულებით უნდა გაგრძელდეს მუშაობა იმ შემთხვევაშიც თუ ეს პროექტი არ დაფინანსდა. ეს ის კიდევ ერთი ნიშანია, რომელიც უნდა დაიკავოს ქარტიამ, რადგან მედიაწიგნიერება და კრიტიკული აუდიტორიის არსებობა ქარტიის მისიას პირდაპირ უკავშირდება.

ამასთან ცხადია, ქარტიამ უნდა გააგრძელოს მუშაობა მედიაგარემოს განვითარებისთვის და აქტიურად უნდა იყოს ჩართული ყველა მიმდინარე პროცესში. შესაბამისად, ამ მიმართულებების განვითარებით და არსებული საქმიანობის შენარჩუნებით, ქარტია იქცევა უფრო გავლენიან ორგანიზაციად, რომელსაც ექნება მკვეთრად გამოკვეთილი და დაკავებული ნიშა ეთიკურად გაშუქებასთან, მედიასტანდარტებთან და ყველა იმ საკითხთან, რაც მედიის შინაარსს უკავშირდება.